



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს ჯანდაცვის  
ჯიოვნური ბიბლიოთეკა

## უცნობი ავტორი

მოქალაქეობა და  
წამება [წმიდისა]  
აბიბოს ნეკრესელ  
[ების]კოპოსისა

მოქალაქობა და წამება [წმიდისა] აბიზოს  
ნეკრესელ [ეზის] კოპოსისა  
უცნობი ავტორი

[მოქალა] ქობა და წამება [წმიდისა]

აბიბოს ნეკრესელ [ების] კოპოსისა

[ჯერ არს] ვსენება წმიდისა მღ[დელო-მო]ძღურისა და უბიწ[ოდა] და ახოვანისა მოწამი[სა], რომელსა იგი სამართლად [მინ]იჭებულ იყო საყდარი დიდებისა [უფლისა] დიდისა მისთვის სარწმუნოებისა მისისა და ყოველთა მიერ წამებისა ჭეშმარიტებისათვის, რომელმან შეწირა თავი თვისი მსხუერპლად მისთვის, რომელი შეიწირა მამისა, და სისხლითა თვისითა მომიყიდნა. ჩუენ, რომელმან ნაყოფნი გამოიხუნა თავით თვისით შეწევნითა მალლისადათა, სიწმიდისა იგი სამოცეული და მოღუაწებისა ასეული, თავისა თვისისა თანა შეერთებითა შუდეულისა განმასრულებელი, მღდელოთმოძ[ღუარი] მალლისა შუამდგო[მელი ღმრთ]ისა და კაცთა ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოსი. რამეთუ შორის ორთა წმიდათა განწყობილთა წარმოდგა მღდელობისა საყდარი მოდგამთა თანა უბიწოდ მღდელობითა და მართლ-მკუეთელობითა და კუალად მოწამეთა თანა მკნედ მოღუაწებითა ორითა გვრგვნი[თა] პატივცემული შორის განწყობილსა მართალთასა. ჩემი არს მოწამე ესე და მღდელო-მოძღუარი უბიწოდ, ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისა ჩუენდა მომღებელი და სულნელებისა ჩუენისა ჩუენდა მომფენელი, სანთელი მალლად მნთებარე, მნათობი და განმანათლებელი ყოველთა მხილველთა მისთა, შემწირველი უბიწოდ ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რომელმან თავიცა თვისი შეწირა მსხუერპლად მისა მიმართ ჳელითა უსჯულოდას მარზაპნისადათა. ხოლო მიზეზი წამებისა მისისა ესრეთ იყო. რამეთუ ჟამსა მას, ოდეს სამეუფოდ ესე ჩუენი ქართლი სპარსთა მეფესა დაეპყრა და ბილწსა მას მსახურებასა აღასრულებდეს, ვითარცა ესწავა ბოროტად მასწავლელისა მათისა ე[შმა]კისაგან, ამის გამო მრავალნი ადგილნი განჰმზადნეს მათისა მის სამსახურებელისათვის ქუეყანასა ამას ჩუენსა და მრავალთა დაუმტკიცებელთა სარწმუნოებასა და ნაკლულევანთა გონებითა შეაცთუნებდეს. ხოლო ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოსი,

სამ[თავ]როდსა კახეთისაჲ, აღ[იძრა] საღმრთოდთა შურითა გულს-  
მოდგინედ და მივიდა მახლობელად უცხოდა მის სამსახურებელისა  
მათისა, დაასხა წყალი და ხენეში იგი, ცეცხლი მათი დაშრიტა. ესე რად  
ცნეს უსჯულოთა მათ სპარსთა, შეიპყრეს, და ესოდენ გუემეს, ვიდრელა  
სიკუდიდ საგონებელ იყო ნეტარი იგი. და მერმე შეაყენეს საპყრობილესა  
იწროებითა დიდითა, და შემდგომად მრავლისა ტანჯვისა მიწერეს ზენა-  
სოფლად მეფისა მათისა მარზაპნისა თანა. ხოლო მან მიუმცნო, რადთა  
შეკრული მსწრაფლ მიიყვანონ მის წინაშე. და მოვიდეს მოვლინებულნი  
იგი და წარიყვანეს წმიდაჲ აბიბოს მრავალ-ფერთა ჭირითა მგზავრ.

ხოლო ნეტარი ესე ებისკოპოსი მეგობარ იყო ბრწყინვალისა მის  
მნათობისა სჯმიონ მესუეტისა ანტიოქელისაჲ და არათუ თუალითა  
ეხილვა ურთიერთარს, არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომელ  
გონებითა იხილვების შორიელი, ვითარცა მახლობელი. და კუალად  
წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავებაჲ. და მას ოდენ ჟამსა,  
ოდეს მიჰყვანდა წმიდაჲ აბ[იბოს], [ემთხვა მას მოციქული] ნეტარისა  
[სჯმიონ მესუეტისაჲ] სოფელსა, რომელსა [ჰრქვან იალ]დოს, და მისცა  
[წიგნი, ე]ვლოგიაჲ და კ[უერთხი] წმიდისა მამისა ჩუენისა სჯ[მიონ  
საკვ]რველთ- მოქმედისაჲ. და [ვითარცა მიი]ლო ებისკოპოსმან ევლოგიაჲ  
იგი და კუერთხი, და [წი]გნი იგი წმიდისაჲ აღმოიკითხა, განიხარა  
სიხარულითა დიდითა და განმტკიცნა ფრიად.ამისსა [შემდგომად  
შე]ემთხვნეს ვიეთნიმე და ჰრქუეს: „უკუეთუ არა გნებავს წარსლვის ჩუენ  
უკუნ გაქციოთ საყოფელადვე შენდა«. და არა ინება, რამეთუ სუროდა  
მარტვლობად ქრისტესთვს. და ვითარ მიიწივნეს სამეუფოსა ქალაქსა  
მცხეთას, ვედრებით ხადოდა იგი წმიდასა კათოლიკე სამოციქ[ულო]  
ეკლესიასა და იტყოდა, ვ[ითარმედ: „აჰა] შვილი შენი იოსებ წარვალს  
ეგვბტედ კრული, ვითარცა ტყუე. და ვითარმცა ვინ ჰრქუა მას, ვითარმედ  
არა ეგრეთ, არამედ სუფევად განემზადები და ზეცისა სავანეთა მიერ არს  
გზავნაჲ შენი და ვიდოდე მას ზედა მშვდობით“.მაშინ ევედრა ნეტარი  
იგი მტარვალთა მათ, რადთა მივიდეს იგი ნეტარისა შიოდსა მღვმედ,  
რამეთუ იცოდა იგი წინაფთვე და სურვიელ იყო იგი ხილვად მისა. ხოლო

მათ განუტევეს იგი, და შთავიდა უდაბნოდ და იხილა ნეტარი იგი ბერი, და ყვეს ლოცვად და მოიკითხეს ურთიერთას. და ვითარცა ზრახვიდეს, ჰრქუა წმიდამან ებისკოპოსმან ბერსა: „ლოცვა-ყავ, მამაო, რამეთუ უსჯულონი ესე სპარსნი განძნდეს ჩემ ზედა ამპარტავანებითა თვისითა, რამეთუ დაიპყრეს სოფელი ესე ჩუენი. შენ უწყი, რამეთუ ბაბილოვანი მარადის კერპთ მაწუეველ არს და ღონის მეძიებელ არიან, რადთამცა ყოველნი-კაცნი თაყუანის-აცემინნეს კერპთა. მაშინ სადამე სამთა ყრმათა, მისა ღმრთისადასა თანამდგომარეთა, მის მიერთთავე ძალითა კერპი იგი დაადნვეს და განაქარვნეს, და მძლავრნი იგი ყოვლით ძალით მისითურთ კდემასა ქუეშე შეაყენეს; და აწცა მათ უსჯულოთა მისთა სახედ ეგულების, რადთამცა კუალად განაგდეს ბადე და შეაყენნეს კაცნი და თაყუანის-აცემინნეს ცეცხლსა“. მიუგო ბერმან და ჰრქუა: „ვიცი, მამაო მფლობელო, რამეთუ დაშრიტე ცეცხლი იგი მათი სრულიად, რომელსა ესვიდეს უსჯულონი იგი, არამედ მოგმადლენ უფალმან, რათა აღტყინებულთა იგი უჩინოდ ცეცხლი, რომელ აღუგზნიეს შენთვს ეშმაკსა განსაცდელად, დაჰშრიტო ადვილად. არა უმეცარ არს სიწმიდჳ შენი, რამეთუ მრავლითა ჭირითა გვღირს შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა. ხოლო ნუ შესძრწუნდები მათისა მისგან მძლავრებისა, ვინადთგან იტყვს მოციქული, ვითარმედ: „მაჭირვებელთა თქუენთა - ჭირი, და თქუენ ჭირვეულთა - ლხინი“. უწყოდო, რამეთუ ჭირი მათი შენ დიდება გექმნეს წარუვალ და ჭირი ეგე შენი მათ დაცემა და განზნევა“. და შემდგომად მრავლისა სიტყვსა განმტკიცნა ნეტარი აბიბოს ბერისაგან, და ყვეს ლოცვად და წარემართა

ღუაწლსა მას სიხარულით. და ვითარცა მიიყვანეს იგი მარზაპნისა მის ზენა-სოფლად, სოფელსა, რომელსა ჰქვან რეკი, და შეკრბა მუნ სიმრავლე ებისკოპოსთა და მღდელთა და ერის-მთავართა და თეატრონი დიდი იქმნა წინაშე მარზაპნისა.

მაშინ წარმოადგინეს წმიდაა აბიბოს ებისკოპოსი და ჰრქუა მას მარზაპანმან მან: „რადსათვს უვარ-ჰყავ უფლებად მეფეთ-მეფისა და მოჰკალ ღმერთი ჩუენი?“ მიუგო აბიბოს და ჰრქუა: „მე არავინ ვიცი

მეუფედ, გარნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე. ხოლო ცეცხლი იგი, რომელ დავაშრიტე იგი, რადთამცა საცთური განვაქარვე ეშმაკისად. ხოლო გლოცავ, რადთა განეყენნეთ უნდოსა მას მსახურებასა და ღმერთი მხოლოდ იცანთ, რომლისა მიერ დაებადა ყოველი, და მას მხოლოსა ჰმსახურებდეთ, რამეთუ წერილ არს: „უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანისსცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე“». ჰრქუა მას მარზაპანმან მან: „მე გკითხავ, რადსთათვს მოჰკალ ღმერთი ჩუენი და შენ გნებავს, რადთამცა შენისა ღმრთისა წარგვყვანნე?“ ხოლო ნეტარმან მან აბიბოს ჰრქუა: „უწყებულ იყავნ შენდა, ვითარმედ ღმერთი არა მომიკლავს, ხოლო ცეცხლი დავშრიტე. არა არს ღმერთი იგი, არამედ სხუათა ბუნებათაგანი არს, ერთისა ნივთისაგანი მცირედ ნაწილი, რომელთაგან აღჰმართა ღმერთმან სოფელი ესე. განსწორებით დაბადებულ არიან ნოტიად, ცივი, ჰმელი და ცეცხლი, რომელ ერთიერთისა მპყრობელობად აქუს სიმრგულესა მას შინა. ესრეთ განსწორებითა ნაწილთადათა დგანან ესენი. და, უკუეთუმცა ერთი-ერთისა აღემატა, გან-მცა-ქარდა მეორე იგი. ხოლო თქუენი იგი ცეცხლი მისვე ცეცხლისა ბუნებისა ნაწილ[არს] ჰმელითა და წვითა, ვითა აღდგომილი შეშისა ჰამითა, მყოვარ-ჰამიერ. ერთი მცირე წყალი დავასხ, მძლე ექმნა და მოკლა იგი, რამეთუ უფროდს მისა იპოვა წყალი იგი. აწ მიკვრს თქუენი ესე, ესევეთარი სიცოფე, ვითარ არა სირცხულ გიჩნს მისი სახელის დებად ღმრთად, რომელსა ესეოდენი სული აქუს, რამეთუ თქუენი ესე ცეცხლი თქუენდავე მონა არს და კერპთა შეურაცხის მყოფელთა ვერვის ჰხედავს. უკუეთუ ღმერთ არს ეგე? თქუენ იტყვთ, რამეთუ ოდესმე თქუენსავე სოფელსა განჰმზადეთ მსახურებად მის კერპისად, რომელ იგი ჰქმენით. ოქროდსა, სატანჯველად განმზადებულსა მას თქუენ მიერ მაშინდელსა აწ ღმერთ ეწოდებისა“!?

მაშინ განრისხნა ფრიად მარზაპანი იგი მეფისად და შემდგომად მრავლისა გუემისა და საკვრველთა სატანჯველთადათა ქვითა განტვნეს იგი, ნეტარი აბიბოს, და მოკლეს და განათრიეს გარეშე ქალაქსა, და მცველნი განეწესნეს მის ზედა, რადთა მჰეცთა და მფრინველთა შეჰამნენ ჰორცნი მისნი, რამეთუ ეშინოდა, ნუუკუე ქრისტეანეთა დიდე[ბითა

დაჰკრძა]ლნენ იგინი.[ხოლო სამგზის] სანატრელისა წმიდისა მ[ის მოწამისა] ჯორცთა არარად [შეეხო] მკვეცთა და მფრინველთაგანი. და ვითარ მყუარ სც[ვი]დეს, დაუტევეს იგი და წა[რვ]იდეს.

მაშინ მოვიდეს რომელი იგი მყოფ იყვნეს ქუაბსა მას, რომელი იგი მათვე წმიდათაგან სავანესა აღეშენა მონასტერი, და აღიხუნეს ნაწილნი წმიდისა [აბი]ბოდსნი, დიდითა პატივით[ა და]ჰკრძალნეს ადგილსა [მას. და ეს]რეთ შეიწირა ღმრთისა [მიერ აბიბ]ოს, ვითარცა ძღუენი სა[მსხუერპლოდ],შესაწირავი სულნელი, [ვითარცა მამად დი]დისა ზაქარიადსა, [რომელსა იგი წილი ხუედრე]ბულ იყო [მღდელო- მოძღურებისა, და] მისებრ [სისხლიცა წმიდად] მისი დაით[ხია უფლისა ჩუენი]სათვს.[არა თუ ყოველთა მისისა ღუა]წლისაგან გაუ[წყებ თქუენ წმიდისა და] ნეტარისა აბი[ბოს ებისკოპოზისა] წამებისათვს, [არა თუ ყოველთა] საქმეთა და [შრომათა და ღუაწლთა მისთა გაუწყებ თქუენ, ანუ ვითარ იგი დაჰლექნა კერპნი და უღმრთოთა მათ არწმუნა ქრისტე და ნათელ]-სცა სახე[ლითა სამე]ბისაფთა, ანუ ვ[ითარ]დედაკაცსა უწინადწარმეტყუელა შემდგომად მისა მოსლვად ბერძენთაფ და დაპყრობად ქუეყანისა ამის ჩუენისაფ, რომელცა იგი იქმნა მსწრაფლ მისვე დედაკაცისა ზე. მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქუეყანაფ ესე ჩუენი. მიერთგან ერისთავნი იქმნნეს მპყრობელად ქართლისა.და სხუანი მრავალნი საქმენი და საკვრველებანი არიან ამის წმიდისანი, რომელნი არა დაწერილ არიან წიგნსა ამას წამებისა მისისასა. არამედ იხილეთ და ცანთ გონიერად,

საყუარელნო ქრისტჳსნო, თუ ვითარნი და

რაბამნი კაცნი წმიდანი და ყოვლითურთ ღმრთისა სათნონი, ნათელნი სოფლისანი, ჭურნი რჩეულნი სავსენი ნელ-საცხებელითა, ზეცისა კაცნი და ქუეყანისა ანგელოზნი, განმანათლებელნი სოფლისანი, სახენი, წესნი და კანონი უცთომელნი მონაზონებისანი ნათესავ[ისა ამი]სგან ქუეყანასა ამას შინა [ჩუენსა ერ]თსა შინა ჟამსა გამო[სჩნდეს წმიდაფ აბიბოს ნეკრესელი, და ნეტარი იოანე ზედაძნელი, და ღირსებით მოსაჯსენებელი

ისე წილკნელი ებისკოპოსი, და მადლითა სავსე ბერი შიო, ანუ სხუანი იგი მოწაფენი მისნივე ნეტარისა იოანე ზედაძნელისანი, რომლითა] სასწაულითა და ძალითა [იღუწოდეს] და წმიდანი მცნებანი მისნი სათნოთა მოქალაქობითაჲ.წარმართებულთა ეტკრთნეს და ესევე ქუეყანაჲ ჩუენი წმიდათა ნაწილთა მათთა დაუნჯებითა სანატრელ იქმნა.ხოლო აწ, ძმანო საყუარელნო, ვედრებით ვითხოვდეთ ქრისტეს ღმრთისაგან, რადთა წმიდითა ლოცვითა და მეოხებითა მათითა ღირს მყვნეს მიზაძვად სათნოებათა მათთა და მარადის დიდების მეტყუელებად სამებისა წმიდისა, რომელსა შუენის პატივი და თაყუანის-ცემაჲ აწ და მარადის და [უკუნითი უკუნისამდე, ამენ].